5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე და ჯგუფებში, სადაც აწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლას აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციოა აქტივობების განხორციელების პირობები. სკოლა სოციალურ ქსელში შექმნილი სკოლის გვერდის და სოციალური ჯგუფების ( მშობლების) საშუალებით ავრცელებს შესაბამის ინფორმაციებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. სკოლის კედლებზე გამოფენილია ინფორმაციები მიმდინარე პროცესებზე, როგორც აკადემიური , ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სატელეფონო შეტყობინებებით. .სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი. **არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდამდე( ვადების შესაბამისად) სკოლას სკოლების საერთო პორტალზე გაუაქტიურდა ვებ გვერდი. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობა- სკოლის ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

გაწერილია ვებ გვერდის შევსების პერიოდი **17.07.2023- 01.12.2023** , რისკები, სხვა ჩართული მხარე - საინფორმაციო მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი, პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.

2.სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციები სოციალური ქსელით https://www.facebook.com/pages/Marabda%20%20%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%93%E1%83%90/2235874373322639 , დამრიგებლების მეშვეობით არის სანდო და უტყუარი, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით( თანხვედრა სკოლის დოკუმენტაციასთან, პროექტებთან, გავრცელებულ ინფორმაციებთან, სკოლაში გამოფენილ ბავშვების ნამუშევრებთან და სხვა) **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________

_________________________

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. დამადასტურებელი დოკუმენტაცია,, რომ სკოლა მიღებულ უკუკავშირს სოციალური ჩატებიდან, მშობლებთან შეხვედრისას, იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

4.სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდამდე( ვადების შესაბამისად) სკოლას სკოლების საერთო პორტალზე გაუქტიურდა ვებ გვერდი. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობა- სკოლის ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია; გაწერილია ვებ გვერდის შევსების პერიოდი 17.07.2023- 01.12.2023 , რისკები, სხვა ჩართული მხარე - საინფორმაციო მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი, პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

5 სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი. თუმცა ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში( emis) ვებ გვერდის შექმნაში დახმარების გასაწევად. (2023 13 ივლისის წერილი N 879 339) **არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდამდე( ვადების შესაბამისად) სკოლას სკოლების საერთო პორტალზე გაუქტიურდა ვებ გვერდი. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობა- სკოლის ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია; გაწერილია ვებ გვერდის შევსების პერიოდი 17.07.2023- 01.12.2023 , რისკები, სხვა ჩართული მხარე - საინფორმაციო მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი, პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.**

ინდიკატორის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

*საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი,*

*წერილი emis.*

*ხელშეკრულება მშობელთან*

*ბლოგი, სოციალური გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილია დირექტორის მიერ დამტკიცებული შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება2-51 18/12/2022 წ. შესყიდვების პროცესი სკოლაში საჭიროებების შესაბამისად ხდება, რაც წინასწარ გათვლილია ბიუჯეტში. ძირითადი თანხა იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, ჰიგიენური საშუალებებების შესყიდვაზე.სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი (ბალანსი), რომელიც შესაბამის ვადებში გაგზავნილი იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 10 დეკემბრის N7 ოქმით დასტურდება, რომ სკოლამ დაამტკიცა 2023 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. ვიზიტისთვის წარმოადგინა 2023 წლის ფაქტობრივი და 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტები. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა იმ აქტივობებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საჭირო რესურსის შესყიდვა, რომელიც სკოლას სამოქმედო გეგმით აქვს გაწერილი. მაგალითად სკოლის ძირითადი საჭიროებებითვის, გამართულად ფუნქციონირებისთვის, განხორციელებულია პრინტერის შესყიდვა. გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ ჩატარებულია ბაზრის კვლევა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ბუღალტერი. ბაზრის კვლევისას, პოტენციური მომწოდებლის შერჩევა ხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიით: ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება და ინვოისების გამოთხოვა, სატელეფონო გამოკითხვები. შესყიდვის პროცედურების ამსახველ დოკუმენტაციასთან ერთად (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარება) ინახება ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც. გამომდინარე აქედან, შესყიდვების პროცედურები ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სკოლას აქვს მწირი რესურსები.ამიტომ ვერ ხერხდება ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ჩაებას საგრანტო პროექტებსა და კონკურსებში , რაც ფინანსური რესურსების ნაწილობრივ გარანტორი იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დადასტურება:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება,

ბაზრის კვლევა,

სამეურვეოს ოქმი N7 სსგ-ს პროექტი

ბიუჯეტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები უზრუნველყოფილია, სკოლაში შემუშავებული რეგულაციების საფუძველზე. მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით, რომელშიც გაწერილია მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლება-მოვალეობები, გასაჩივრების წესი და ეტაპები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი, რომლითაც, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის შენახვას, კანონის შესაბამისად. ამასთანავე, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რომელ დოკუმენტებშიც, მესამე და მეოთხე მუხლში, დეტალურად არის წარმოდგენილი მოსწავლის/მშობლის უფლება-მოვალეობები და გარანტიები, მოსწავლის ინტერესების დასაცავად. სკოლაში დაცულია, ხარისხიანი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც სსსმ მოსწავლეების განათლების ხელმისაწვდომობის და განათლებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით არის შედგენილი და ეყრდნობა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებას. **ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები დაცულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც საჯაროდ არის გამოკრული სკოლის დერეფანში. სასკოლო საზოგადოებას, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ჩანაწერებს შინაგანაწესში. გარდა ამისა, როგორც სკოლის თვითშეფასებაშია აღწერილი, რაც ასევე აღინიშნა სკოლაში ვიზიტის დროს, ინტერვიუს პროცესში, სკოლა საჯაროობას და გაზიარებას უზრუნველყოფს დამრიგებლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით, სკოლა ხშირად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონით გათვალისწინებული უფლებების გაზიარების მიზნით, თუმცა სკოლას გაზიარების მტკიცებულება არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
3. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონთან ზოგადი განათლების შესახებ. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მუხლები, მხარეთა უფლება-მოვალეობების, მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების, სასწავლო, უქმე და დასვენების დღეების, დავის გადაწყვეტის შესახებ და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

*სკოლის შინაგანაწესი; პერსონალურ მონაცემთა მონიტორინგისა და დაცვის წესი; მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესის მეთერთმეტე თავში. სკოლაში პირველ კლასში ბავშვები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვას და საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. აღნიშნულს ადასტურებს, სკოლის მიერ გაზიარებული მტკიცებულებები, დირექტორის ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის და საფეხურის დაძლევის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
3. სკოლის შიდა პოლიტიკა, მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც გამოკრულია სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილას. ხოლო, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის შესახებ დამატებითი დოკუმენტაცია მტკიცებულების სახით სკოლას არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
4. სკოლა ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის ფეისბუქ გვერდს. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. სკოლის ფეისბუქ გვერდის ვიზუალური დათვალიერებისას, ჩანს, რომ სკოლა ძირითადად ავრცელებს სკოლაში განხორციელებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ ინფორმაციას, რომელიც არადისკრიმინაციულია. ფოტოების განთავსებისა და მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ, სკოლას, მშობლებისგან აქვს მოპოვებული ინფორმირებული თანხმობა, რაც დასტურდება მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. ინფორმაციის საჯაროობის სხვა მექანიზმი, გარდა ფეისბუქ გვერდისა სკოლას აქვს ბლოგი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სკოლის შინაგანაწესი, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც პირველ კლასელი მოსწავლეების მიღებისთვის იგეგმება ღონისძიება. პირველი კომპიუტერის გადაცემა, პირველი ლექსის თქმა. კლასის ხელმძღვანელის მიერ ეწყობა ექსკურსია სასკოლო სივრცეში, სივრცის გაცნობა მათი სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში, კერძოდ მოსწავლეების თანამშრომლობისა და სხვა უნარების განსავითარებლად იგეგმება ექსკურსიები, მოსწავლეების ჩართვა ხდება სასკოლო ღონისძიებებში, კერძოდ: სასკოლო ოლიმპიადებში, კონკურსებში, სპორტულ ღონისძიებებში, ლიტერატურულ საღამოებში, ლაშქრობებში და სხვა არაფორმალურ ღონისძიებებში. სკოლის თვითშეფასებაში უფრო სიღრმისეულად არის აღწერილი, ნაბიჯები, რასაც სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობისთვის, სკოლაში ვიზიტის დროსაც აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სკოლამდელ დაწესებულებებთან, სწავლის დაწყებამდე ტარდება მშობელთა კრება, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები ეცნობიან ერთმანეთს. ამასთანავე, მოსწავლეთა ადაპტაციისთვის, გაწერილია სხვადასხვა ღონისძიებები სადამრიგებლო პროგრამებშიც. სკოლა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლა არის ადაპტირებული, სკოლაში არის რესურს ოთახი, რომლით სარგებლობაც სსსმ მოსწავლეს შეუძლია. სსსმ მოსწავლის ადაპტაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

პროცესში აქტიურად არიან სპეციალური მასწავლებლები, დამრიგებლებთან ერთად ჩართული. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადაპტაციის მექანიზმში, თვითშეფასებაში აღწერილია, რომ სკოლა სწავლის მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას. ამ მიზნით, პირველ კლასელ მოსწავლეებს დამრიგებელი აცნობს საკლასო ოთახს, ერთმანეთს, აცნობს სკოლის დირექციას და ათვალიერებინებს სასკოლო სივრცეს. გარდა პირველი კლასის მოსწავლეთა ადაპტაციისა, სკოლას აქვს სხვა კლასში მოსწავლის მიღებისა და აპტაციის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მოსწავლის სკოლაში გამოცხადებამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ძირითად ინფორმაციას მოსწავლის შესახებ და წარმოაჩენს მოსწავლის ძლიერ მხარეებს, რაც მოსწავლეს ეხმარება თვითდამკვიდრებაში. სკოლა არის ეთნიკურად მრავალფეროვანი, რის გამოც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სკოლაში ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ ენობრივი ბარიერის გამო, მოსწავლეებისთვის, რომელთაც უჭირთ საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვა იგეგმება დამატებითი გაკვეთილები, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. დამატებითი მომსახურების შესახებ სკოლას მტკიცებულება არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
3. სკოლის თვითშეფასებაში აღწერილია, რომ სკოლა მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აწვდის სათანადო უკუკავშირს მოსწავლის აკადემიური შედეგების შესახებ და სთავაზობს რეკომენდაციებს გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ასევე ელ-ჟურნალის გამოყენებით, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან წერილობით განმავითარებელ შეფასებას და ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური შედეგების შესახებ. სკოლაში ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ ენობრივი ბარიერის გამო, მოსწავლეებისთვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

რომელთაც უჭირთ საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვა იგეგმება დამატებითი გაკვეთილები, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. აღნიშნულის შესახებ სკოლას მტკიცებულება არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და მშობელთა ხელშეკრულებებში გაწერილია მოსწავლის უფლებები და განსაზღვრულია კონკრეტული ვადები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწრილია შეფასებისა და გაცდენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე, საშემოდგომო, ექსტერნისა და სემესტრული გამოცდის ტიპების შესახებ ინფორმაცია. მაგალითად, „სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში-მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში“. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვის, მოსწავლეთა შინ-სწავლების, შემაჯამებელი დავალებების აღდგენას და სხვა პროცედურებს სკოლა უზრუნველყოფს კანონის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება და მეწარმეობის კლუბის სამუშაო გეგმა. გარდა მტკიცებულებებისა, სკოლაში ვიზიტის დროს ისაუბრეს, თუ როგორ უწყობს ხელს სკოლა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას და მოსწავლეთა ჩართვას, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, სკოლის გარეთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლის მხარდაჭერის ჯგუფი არის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს. მოსწავლეთა მხარდაჭერის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ჯგუფი საკუთარ ფუნქციებსა და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად; ჯგუფი მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას; მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია: მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების; მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის; მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის; მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა; მოსწავლისათვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება; მოსწავლეთა უფლებების დაცვის; მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების; მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდების უზრუნველყოფა; მეწარმეობის კლუბის მიზანი კი მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობაა, რისთვისაც სკოლა, კლუბის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი მოსწავლეებთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. სკოლა, კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს თვითმმართველობის დაფინანსებას სკოლის ბიუჯეტიდან; მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტებით, შემოწირულობებითა და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. სკოლაში ვიზიტის დროს, გასაუბრებისას, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. ამ მიზნით, ხშირად ატარებს ზეპირ გამოკითხვას. უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლა იყენებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელ-ჟურნალს, სატელეფონო კავშირსა და ინდივიაუალურ შეხვედრებს. სკოლას ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია მტკიცებულების სახით არ წარმოუდგენია. სკოლას ვურჩევთ, რომ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ინტენსიურად ითანამშრომლოს მოსწავლეებთან, ჩაატაროს გამოკითხვა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესთავაზოს მათ ინტერესებსა და საჭიროებაზე მორგებული მომსახურება. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი; ტრანზიციის გეგმა; სკოლის შინაგანაწესი; მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფის დებულება; მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; კლუბის სამოქმედო გეგმა.*

**4.2.2.** სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მტკიცებულებების სახით დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, თუმცა სკოლაში ვიზიტისას აღნიშნეს და აღნიშნულზე სკოლის თვითშეფასებაშიც აქცენტია გაკეთებული, რომ სკოლა სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, სხვადასხვა მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. ეწყობა გასვლითი ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც ასევე მიზნად ისახავს, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას. პროფესიულ ორიენტაციას ემსახურება სკოლაში მეწარმეობის კლუბი „ცხრა ძმა", რომელიც მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სამოქალაქო განათლების პედაგოგის ერთობლივი ძალისხმევით ახორციელებს საქმიანობას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მეწარმეობის კლუბის სამუშაო გეგმა. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ინტენსიურად შემოდის ინფორმაცია, სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ღია კარის დღესთან დაკავშირებით. ინფორმაციას სკოლა ავრცელებს ფეისბუქ ჯგუფებში მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების მიზნით, თუმცა სკოლას მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. **ამ ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ შეფასდა.**

3.სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მცირე ინფორმაცია წარმოდგენილია სკოლის თვითშეფასებაში, სკოლა მუდმივად ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს დაგეგმვის პროცესში. მიღწეული შედეგები განიხილება სკოლის კათედრებზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავენ, ანალიზი ზედაპირული ხასიათისაა. სკოლას მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. **ამ ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ შეფასდა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი და ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ -თან. რეგულაციის მიხედვით, განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის სტატუსის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ისგ ჯგუფის საქმიანობის შესახებ, სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასების, დასწრებისა და გაცდენებისა და სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ ინფორმაცია. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.
2. ინკლუზიური განათლების მიზნით, შემუშავებულ მექანიზმებთან ერთად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ისგ-ზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მხარდამჭერ ღონისძიებებს ახორციელებენ სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის. სპეც. მასწავლებლი/ები სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გარდა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასაც უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების შესახებ, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით, აღნიშნულთან დაკავშირებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

გავესაუბრეთ სკოლის სპეც მასწავლებელს, რომელმაც ისაუბრა სსსმ მოსწავლისთვის გაწეული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა; სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.*

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

__________________________

__________________________

შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას კვებით სერვისს. სკოლის შენობაში გამოყოფილია ფართი სკოლის ბუფეტისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოიჯარის და მეიჯარის უფლება მოვალეობები. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.
2. სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. შესაბამისად, სკოლა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით არ ფასდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

3. სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. შესაბამისად, სკოლა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი 10 იჯარის ხელშეკრულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება (დაწყებითი საფეხური)

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობელების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწალო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და მიდგომებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

შექმნა. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, საგნობრივი კურიკულუმებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის კურიკულუმში/კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. საგნობრივი კურიკულუმებით აღწერილი მოსწავლის განვითარების გზა (გრძალვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, რესურსები) ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება საბაზო-საშუალო საფეხურზე სწავლისას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და მათი ინტერესების კვლევას. მოსწავლეთა იტერესების გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე შექმნილია კლუბები და წრეები, იგეგმება არაფორმალური აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით, ასევე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობზები და მონაწილეობის ფორმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხომის ოქმი, სადაც განხილულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ გეგმავენ მეთოდოლოოგიის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს კურიკულუმების შემუშავების პროცესში თავიანთ როლსა და ჩართულობაზე. სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, კათედრის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
4. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნითა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს- ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ინტერაქტიული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________
_________________________

სიახლეების შესახებ. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრებზე მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

2022-2023 წლის კურიკულუმები; კომპლ.დავალების ბარათები

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში რამდენიმე თემის(არა ყველა) ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგვის შესაძლებლობას, თუმცა 1-ელი და მე-2 კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, გაწერილია სქემატურად, რესურსები არ არის მითითებული, ამასთან დაკავშირებით მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიღების შემდეგ მოამზადებენ სრულყოფილ კურიკულუმებს 2022-2023 სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რომლებზე მუშაობაც მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების მიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოეთხოვება პროდუქტის შექმნა, რაც მისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, რიგი დავალებები (მაგ. შექმნან საინფორმაციო ბროშურა, გარემოს დაბინძურების შესახებ, ჩაატარონ ექსპერიმენტი - თამბაქოს კვამლის გავლენა ფილტვებზე) ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ჩანაწერი არ არის ფორმალური და კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და მათი ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, მასწავლებლებს გააზრებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის თვითშეფასებით -,, მასწავლებელი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს, შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საგაკვეთილო პროცესს. სადაც იყენებს მულტიმოდალურ მიდგომებს, აქტივობისთვის იყენებს შესაბამის რესურსებს (ვიზუალური, კინესთეთიკური, სმენითი).“ მსგავსი მიდგომის არსებობა დასტურდება წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მრავალფეროვანი რესურსების მითითებით, გასაუბრებისას მასწავლებლებმა დიფერენცირებულ მიდგომასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ სკოლაში ჰყავთ აზერბაიჯენელი მოსწავლეები, რომელებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ ქართულ ენას, მათთვის მასწავლებლები ახდენენ დავალებებისა და რესურსების ისე შერჩევას, რომ დაეხმარონ მოსწავლეს სწავლა/სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების დაძლევაში. სკოლას ამ ეტაპზე დაწყებით საფეხურზე ჰყავს სსსმ მოსწავლე, მისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გეგმაში მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით გამარტივებულია აქტივობები, თუმცა გრძელვადიანი მიზნები გაწერილია ძველი სტანდარტის შესაბამისად, მასწავლებელს მიეცა რეკომენდაცია მომავალ სასწავლო წელს ისგ გეგმის შექმნის საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინოს ახალი სტანდარტი/ები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

4. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა  განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა  2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა სასწავლო თემისთვის შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მასწავლებლებს აქვთ შედეგების მიღწევის ტაქსონომიის ფრაგმენტულად გამოყენების გამოცდილებაც. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ ,,ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება“, რაც გვიჩვენებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება. ასევე, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,  რომ დაგეგმვისას  იყენებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, კერძოდ, კათედრის შემაჯამებელ შეხვედრებზე ისაუბრეს განხორციელებული საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებენ 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში,  კათედრამ  წარმოადგინა შემაჯამებელი სხდომის ოქმი, თუმცა მასში ამ საკითხზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: _______________

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________

_________________________

ჩანაწერი არ იკითხება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები გარკვეული დოზით ზეპირსიტყვიერად აანალიზებენ გასულ სასწავლო წელს და მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

